

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
2018 წლის საქმიანობის შედეგები,
მიღწევები, აქტივობები და დარგის
განვითარების ძირითადი
სტატისტიკური მაჩვენებლები

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

GCAA Annual Report 2018

www.gcaa.ge

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის ქვეყნის საავიაციო ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, რაც მიიღწევა სააგენტოს მიერ შესაბამისი წესების შემუშავების, გამოცემისა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობის გზით.

სააგენტოს ამოცანებია: საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების კუთხით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის, აეროპორტების და საჰაერო მოძრაობის მართვის ქსელების განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

მისამართი: 0158, თბილისი, აეროპორტი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 94 80 14; (+995 32) 2 94 80 02

ელ.ფოსტა: office@gcaa.ge


ვებ-გვერდი: www.gcaa.ge

ICAO-ს კოორდინირებული ვალიდაციის მისია (აუდიტი)

2018 წლის 13-20 მარტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ და ამავე სამინისტროს სისტემაში შემავალმა სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიურომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) კოორდინირებული ვალიდაციის მისიას უმასპინძლეს.


აუდიტის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი სფეროები: სააგენტოს მიერ სააერონავთო მომსახურებაზე ზედამხედველობა (ANS), აეროდრომების/აეროპორტების და მიწისზედა საშუალებების ზედამხედველობა (AGA), საავიაციო კანონმდებლობა (LEG), სამოქალაქო ავიაციის საორგანიზაციო სტრუქტურა (ORG) და საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევა (AIG).

აუდიტის საბოლოო დასკვნით, მაჩვენებლები შემოწმებული კომპონენტების მიხედვით ასე გამოიყურება:




გაუმჯობესების მაჩვენებლები გასულ აუდიტთან შედარებით

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სააერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობის (ANS) ეფექტური იმპლემენტაციის მაჩვენებელმა 96.51%-ი შეადგინა. მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი ამ კომპონენტში 63.94%-ს შეადგენს;
- სააგენტოს მიერ აეროდრომების/აეროპორტების და მიწისზედა საშუალებების ზედამხედველობის მაჩვენებელი 92.36%-ს გაუტოლდა. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი ამ მიმართულებით 59.81%-ს შეადგენს;
- ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის ეფექტური იმპლემენტაცია საავიაციო კანონმდებლობის ნაწილში (LEG) გახდა - 95.24%. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი ამ მიმართულებით 72.05%-ს შეადგენს;
- ორგანიზაციულ ნაწილში (ORG), რომელიც საავიაციო ხელისუფლების ორგანიზაციულ-სტრუქტურულ, ფინანსურ და ადამიანურ შესაძლებლობებს სწავლობს 91.67%-მდე გაუმჯობესდა. მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი ამ კომპონენტში 69.05%-ია;
- სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს მიერ საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის (AIG) ეფექტური იმპლემენტაციის მაჩვენებელი - 91.09% გახდა. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი აღნიშნულ კომპონენტში 55.81%-ია.



საქართველოს მაჩვენებლების შედარება მს. საშუალო მაჩვენებლებთან - 2018 წლის აუდიტის შედეგების შემდეგ

აუდიტის შედეგების მიხედვით, საქართველოს მიერ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის ეფექტური იმპლემენტაციის მთლიანი მაჩვენებელი 87.64% გახდა. ახალი მაჩვენებლებით საქართველო საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების დანერგვის და ზედამხედველობის თვალსაზრისით მსოფლიოში ოცდამეათე, ევროპაში მეათე, ხოლო რეგიონში პირველ ადგილზეა (მონაცემები ცვალებადია წევრ სახელმწიფოებში ჩატარებული აუდიტების შედეგების მიხედვით).



ICAO-ს აუდიტის შედეგები რეგიონის ქვეყნების მიხედვით (მონაცემები ცვალებადია)

- მზადება აუდიტისთვის, სააგენტოს მიზანი და მიზნის მისაღწევად გატარებული საქმიანობა

ICAO-ს 2018 წლის აუდიტისთვის მზადების ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ დაისახა მიზანი: ICAO-ს ვალიდაციის აუდიტის წარმატებით დასრულება, შედეგების გაუმჯობესება ყველა შესამოწმებელ კომპონენტში და შესაბამისად ქვეყნის მიერ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის ეფექტური იმპლემენტაციის მთლიანი მაჩვენებლის გაზრდა 80%-მდე¹.

¹ აქტივობა გათვალისწინებული იყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შიდა გეგმით, ასევე სამინისტროს 2018 წლის სამოქმედო გეგმით

მიზნის მისაღწევად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, 2018 წელს დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 იანვრის N3 ბრძანება "საავიაციო რუკების შემუშავების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N24 ბრძანება "ჰაერსაწვრთნო ინფორმაციით მომსახურების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 23 თებერვლის N47 ბრძანება "სააერონავიგაციო მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფის წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 23 თებერვლის N43 ბრძანება "აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის მიერ დეტალური ანგარიშის წარდგენისა და შესაბამისი გასატარებელ ღონისძიებათა შეთანხმების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 მარტის N52 ბრძანება "საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის" დამტკიცების შესახებ

სააგენტომ სამინისტროსთან ერთად იმუშავა მთავრობის შემდეგი დადგენილებების პროექტების შემუშავებაზე:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის N87 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N97 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტების სპეციალისტებმა იმუშავეს ორასზე მეტ პროტოკოლ კითხვაზე და უზრუნველყვეს შესაბამისი ინფორმაციის და მტკიცებულებების შეყვანა იკაოს აუდიტ-პორტალზე, სადაც ონლაინ რეჟიმში ხდება ქვეყნის მიერ ატვირთული მონაცემების ანალიზი და შემდგომ ადგილზე გადამოწმება. ჩატარდა რამდენიმე მოსამზადებელი შეხვედრა საავიაციო ინდუსტრიასთან. მისიის ვიზიტის ფარგლებში, აუდიტორები სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად,

იმყოფებოდნენ თავად მათ მიერ შერჩეულ ავიასაწარმოებში (საქაერონავიგაცია, ქუთაისის აეროპორტი), სადაც ადგილზე შემოწმდა თუ როგორ ახორციელებს სააგენტო ზედამხედველობას.

ICAO-ს აუდიტის პროცესში ჩართულმა ჯგუფის მუშაობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამონარიდი იკავს აუდიტის საბოლოო დასკვნიდან:

„1.3.1 ICAO expresses its sincere appreciation for the assistance provided to the ICVM team during the preparation and conduct of the mission. The professionalism and enthusiasm of all personnel who interacted with the ICVM team contributed greatly to the success of the mission.“



შეხვედრა ICAO-ს აუდიტორებთან

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები

სულ საქართველოს აეროპორტებიდან

რეგულარული და არარეგულარული რეისებით

2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	ზრდა წინა წელთან
918,781	1,201,441	1,403,538	1,833,807	2,008,171	2,261,006	2,840,455	4,073,959	5,033,323	959,364 [~ 23.55%]



2018 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტები ჯამში 5 033 323 მგზავრს მოემსახურა. 2017 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადი 23.55%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 77.20%-ით არის გაზრდილი.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

რეგულარული და არარეგულარული რეისებით

2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	ზრდა წინა წელთან
822,728	1,058,482	1,219,175	1,436,046	1,575,327	1,847,111	2,252,535	3,164,139	3,808,619	644,480 [~ 20.37%]



თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 3 808 619 მგზავრს მოემსახურა, რაც 20.37%-ით (644 480 მგზავრით) მეტია, ვიდრე 2017 წლის მონაცემებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა;

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

რეგულარული და არარეგულარული რეისებით

2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	ზრდა წინა წელთან
88,562	133,852	168,510	208,937	213,841	226,476	312,343	495,668	598,891	103,223 [~ 20.83%]



ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 598 891 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 20.83% ით (103 223 მგზავრით) მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე;

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

რეგულარული და არარეგულარული რეისებით


2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	ზრდა წინა წელთან
7,446	4,527	12,932	187,939	218,003	182,954	271,363	405,173	617,373	212,200 [~ 52.37%]



ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 52.37%-ით გაიზარდა. სულ გადაყვანილ იქნა 617 373 მგზავრი - 212 200 მგზავრით მეტი ვიდრე 2017 წელს;


შესრულებული რეისების რაოდენობა (მათ შორის სატვირთო)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	ზრდა წინა წელთან
Regular	6,269	8,498	8,468	9,890	10,420	11,408	12,252	17,450	21,519	4,069 [~ 23.32%]
Chartered	2,812	2,700	3,382	2,755	2,656	2,259	3,066	3,529	3,017	-512 [~ -14.51%]
Total	9,081	11,198	11,850	12,645	13,076	13,667	15,318	20,979	24,536	3,557 [~ 16.96%]



2018 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში 3 557-ით მეტი რეისი განხორციელდა. სამგზავრო და სატვირთო რეისების რაოდენობა სულ იყო - 24 536, აქედან რეგულარული რეისების რაოდენობაა 21 519, ხოლო ჩარტერების 3 017. 2017 წელს განხორციელებულ რეისების რაოდენობასთან შედარებით, ზრდა 16.96%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს საავიაციო ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების პროცენტულ წილებს, 2018 წლის მონაცემებით, წამყვან პოზიციებზე სამ ავიაკომპანია იმყოფება, ესენია: “Wizz Air”, “Turkish Airlines” და ქართული ავიაკომპანია “Georgian Airways”-ი. სხვაობა სამი ავიაგადამზიდველის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას შორის უმნიშვნელოა.



რეგულარული და მრავალჯერადი ჩარტერული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტული წილის მიხედვით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

- ავიაკომპანია “Wizz Air” – 587 179 მგზავრი 12%;
- ავიაკომპანია “Turkish Airlines” – 559 749 მგზავრი 11%;
- ავიაკომპანია “Georgian Airways” – 550 831 მგზავრი 11%;
- ავიაკომპანია “Ural Airlines” – 294 000 მგზავრი 6%
- ავიაკომპანია “Fly Dubai” – 250 296 მგზავრი 5%

2018 წლის განმავლობაში 45 069 მგზავრი გადაიყვანა ამავე წელს დაფუძნებულმა ქართულმა ავიაკომპანია “Myway Airlines“-მა, 20 822 მგზავრის გადაყვანა უზრუნველყო „AK Air Georgia“-მ, რომელიც ასევე 2018 წელს შეიქმნა და ადგილობრივი რეისების შესრულებითაა დაკავებული. მათი წილი საავიაციო ბაზარზე ამ ეტაპზე უმნიშვნელოა. “Georgian Airways“-ის მიერ გადაყვანილი მგზავრების გათვალისწინებით, პროცენტული თანაფარდობა ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებს შორის ერთი წლის დინამიკაში მცირედით შეიცვალა და თუ 2017 წელს გადაყვანილი მგზავრების 90% უცხოური ავიაკომპანიებზე მოდიოდა, 2018 წელს მათი წილი 2%-ით შემცირდა და შესაბამისად წილობრივი მონაცემები ასე გადანაწილდა: 88% (უცხოური ა/კ) / 12% (ქართული ა/კ).

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები, სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე ზედამხედველობა (ATD, DG)

- განხორციელდა შემდეგი ავიაკომპანიების დაშვება საქართველოს საავიაციო ბაზარზე: Iran Air, Kuwait Airways, Jazeera Airways, Salam Air, Flynas, UVT Aero, TAROM Airlines, Skyup Airlines. უცხო სახელმწიფოს ავიაკომპანიის დაშვებასთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსა და პროცედურებთან დაკავშირებით, დეპარტამენტმა კონსულტაციები გაუწია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ავიაკომპანიას. განხილულ იქნა ავიაკომპანიებისა და მათი საჰაერო ხომალდების დოკუმენტაცია;
- 2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მიმართულებით, ბაზარზე არსებული, ასევე ახალი ქართული და უცხოური ავიაკომპანიების მიერ, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელება დაიწყო სულ 31 ახალი მიმართულებით;
- დამტკიცდა ავიაკომპანიების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განრიგი - ზაფხულის სანავიგაციო სეზონზე და ზამთრის სანავიგაციო სეზონზე, რის შემდეგაც შემუშავდა რეგულარული ფრენების განრიგი. ზაფხულის სანავიგაციო სეზონის განმავლობაში, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესრულების უფლება მიენიჭა სულ 50 ქართულ და უცხოურ სამგზავრო და სატვირთო ავიაკომპანიას, ხოლო 2018-2019 წლის ზამთრის სანავიგაციო სეზონისათვის კი - 38 ქართულ და უცხოურ სამგზავრო და სატვირთო ავიაკომპანიას;
- განხორციელდა 1 ქართული ავიაკომპანიის - Myway Airlines-ის დანიშვნა, სულ 17 მიმართულებით;
- სულ გაიცა 2342 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა;
- გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ სულ განხორციელდა 78 გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირება;
- „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ“ წესის შესაბამისად, ხორციელდებოდა საქართველოს აეროპორტების მონიტორინგი შშმ პირთა მომსახურებასთან და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლებასთან

დაკავშირებით (საქართველოს აეროპორტები დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაშია), ამ კუთხით გაიზარდა ინსპექტირებების რაოდენობა;

- სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, საავიაციო სასწავლო დაწესებულებები, აეროპორტების ოპერატორები. ამასთან განხორციელდა საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 8 ინსპექტირება;
- სააგენტოს დებულების შესაბამისად, ყოველთვიურად ხორციელდებოდა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. საჯარო ინფორმაცია მიეწოდა ყველა დაინტერესებულ პირს;
- გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა განიხილა ქართული ავიაკომპანიების მიერ წარმოდგენილი 3 ახალი სახელმძღვანელო სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით. ამასთან, ავიაკომპანიების მხრიდან შემოტანილ იქნა სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის 22 ცვლილება. ყველა მათგანი დამტკიცდა სააგენტოს მიერ;
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მიზნით, საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელებზე გაიცა 46 აკრძალვისგან „გათავისუფლება“;
- საავიაციო სამუშაოების განხორციელების უფლება მიენიჭა 1 ქართულ (სერვისიარი) და 3 უცხო ქვეყნის კომპანიას (QWEST, PECOTOX, Italian Remote Sensing);



მოლაპარაკებები საუდის არაბეთის საავიაციო ხელისუფლებასთან

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ მონაწილეობა მიიღო „საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შემდეგი ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმებების შემუშავებაში (შეთანხმებების პროექტების განხილვა, ანალიზი, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება) - ტაილანდი, ომანი, თურქმენეთი, საუდის არაბეთი, ისლანდია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. ამასთან, სააგენტოს მონაწილეობით გაიმართა მოლაპარაკებები საუდის არაბეთისა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლებების წარმომადგენლებთან, გაფორმდა უწყებათაშორისი ურთიერთგაგების მემორანდუმები;
- ფრენის უნებართვოდ შესრულებისთვის (ერთეული შემთხვევები) დაჯარიმდა ორი უცხოური ავიაკომპანია, თითოეული 20 000 ლარით, შშმ პირის უფლების დარღვევისათვის ქართული ავიაკომპანია 2000 ლარით.

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობების გაცემა და მუდმივი მონიტორინგი (OL)

საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისა და ფრენების უსაფრთხოების ზედამხედველობის პარალელურად, 2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრალობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს.

2018 წლის განმავლობაში, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა გაიცა 8 ქართულ ავიაკომპანიაზე, უარი მოწმობის გაცემაზე ეთქვა 1 ავიაკომპანიას (ამს ეარლაინზი). ამავე პროცესის ფარგლებში, ხდება მუდმივი ზედამხედველობა წესის მოთხოვნების შესრულებაზე, რათა საწარმოს ფინანსური მდგრალობა გარანტირებული იყოს არა მხოლოდ მოწმობის გაცემის დროს, არამედ მისი ფუნქციონირების პროცესში.

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელ საწარმოთა რეესტრი					
(2018 წელს გაცემული მოწმობები)					
ავიაგადამზიდელი	ს/ნ	გაცემის თარიღი	კატეგორია	მოწმობის ნომერი	მდგომარეობა
შპს აკ-ეარ ჯორჯია	436041061	31.01.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	002	მოქმედი
შპს მაივეი ეარლაინს კო ლტდ	406178835	23.02.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	003	მოქმედი
შპს აერო ექსპედიშენ	404506183	04.06.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	004	მოქმედი
შპს თი სი ეი	406069506	04.07.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	005	მოქმედი
შპს სერვისიერი	204439376	10.07.2018	"ბ" კატეგორიის საწარმო	006	მოქმედი
შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი	406198485	24.07.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	007	მოქმედი
შპს ავიატორი +	404511621	31.08.2018	"ბ" კატეგორიის საწარმო	008	მოქმედი
შპს ბრავო აირ	406092543	28.12.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	009	მოქმედი

საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტებზე (ქართულ ავიაკომპანიებზე) ზედამხედველობა (OPS, FSD):

- 2018 წელს განხორციელდა ორი ავიაკომპანიის პირველადი სერტიფიცირება:
 - შპს „აკ-ეარ ჯორჯია“;
 - შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“;



საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირება

- განხორციელდა მუდმივი ზედამხედველობა შემდეგ ავიაკომპანიებზე: შპს „ავიაკომპანია თუშეთი“; შპს „სკაი თრეველი“; შპს „სერვისეირი“; შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“ (გაუქმდა 10.08.2018წ.); შპს „ავიასერვისი“; შპს „თი სი ეი“; შპს „ზრავო ეარ“; შპს „ამს ეარლაინსი“; შპს „ჯეო ფლაი ეარვეის“ (გაუქმდა 29.01.2018წ.); შპს „ჯორჯიან ეარვეისი“; შპს „ავიატორი +“; შპს „აერო ექსპედიშენი“; შპს „ავიაკომპანია „ჯეო სქაი“; შპს „აკ-ეარ ჯორჯია“; შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“;

- სააგენტოს მუდმივმოქმედი სასერტიფიკაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედების ვადა გაუგრძელდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მოქმედ 11 სერტიფიკატს;
- განხორციელდა სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება; წინასასერტიფიკაციო საბაზო ობიექტების ინსპექტირებები; გეგმიური-შუალედური შემოწმებები; საჰაერო ხომალდების ბაქანზე ინსპექტირებები; საფრენოსნო ეკიპაჟების მარშრუტზე ინსპექტირებები; საჰაერო ხომალდების სადაზღვევო პოლისების კონტროლი; ექსპლუატანტის სერტიფიკატის დანართებში შეტანილი საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის მოწმობების ვადებზე ზედამხედველობა ელექტრონული ცხრილის მეშვეობით;
- საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -5;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში სხ-ს შეტანა - 13;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართიდან სხ-ს ამოღება - 10;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემა - 6;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაუქმება - 6;
 - სასერტიფიკაციო, შუალედური/გეგმიური ინსპექტირება - 41;
- „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, შპს ჯეო ფლაი ეარვეის“-ს გაუქმდა (29.01.2018წ.) ექსპლუატანტის სერტიფიკატი, ხოლო შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“ აღარ გააგრძელა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადა, შესაბამისად ჩაითვალა გაუქმებულად 10.08.2018წ-დან.
- ჩატარდა საჰაერო ხომალდების ბაქანზე ინსპექტირებები: შპს „აკ-ეარ ჯორჯია“ (4), შპს „ავიაკომპანია თუშეთი“ (5); შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“ (2); შპს „სერვისიერი“ (1), შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“ (4); შპს „ავიასერვისი“ (13); შპს „თი სი ეი“ (1); შპს „ბრავო ეარ“ (1); შპს ავიაკომპანია „ჯეო სქაი“ (2); შპს „ამს ეარლაინზ“ (10); შპს „ავიატორ + “ (1); შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ (2); შპს „აერო ექსპედიშენი“ (5);

- განხორციელდა მარშრუტზე საჰაერო ხომალდების ინსპექტირებები:
 - პილოტების მარშრუტზე შემოწმება – 3;
 - პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმება - 5;

- 2018 წლის 1 ნოემბრიდან, ძალაში შევიდა „ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფის) სერტიფიცირების წესი“, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს მიერ ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფის) სერტიფიცირებას და მის შემდგომ ზედამხედველობას. წესი შემუშავებულია ჩიკაგოს 1944 კონვენციის პირველი დანართის მე-3 ნაწილის, ასევე ევროკომისიის N1178/2011 რეგულაციის შესაბამისად. ახალი რეგულაციის თანახმად, ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფის) სერტიფიცირება განხორციელდება სააგენტოს მიერ, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევრორეგულაციის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლებას, რამდენადაც პილოტებს და ბორტინჟინრებს მიეცემა შესაძლებლობა სერტიფიცირებულ საწაფზე გაიარონ მომზადება-შემოწმება, მათ შორის განსაკუთრებულ და ავარიულ სიტუაციაში, ასევე გაიარონ მომზადება ისეთ საფრენოსნო სავარჯიშოებზე, რომლის შესრულებაც საფრთხის შემცველია საჰაერო ხომალდზე. აღნიშნული კი თავის მხრივ, ემსახურება საფრენოსნო სწავლების დონის ამაღლებას და დადებითად აისახება ფრენის უსაფრთხოებაზე;

- განხორციელდა ცვლილებები „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებში“; სამოქალაქო ავიაციის სფეროში პილოტების პროფესიული მომზადების ხელშეწყობის მიზნით, გამარტივდა სახელმწიფო ავიაციის ავიასპეციალისტებისთვის სამოქალაქო ავიაციის ავიასპეციალისტის მოწმობის მიღება. ასევე, საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობების ვადების გაგრძელების და შესაბამისი საკვალიფიკაციო აღნიშვნების დაჩქარებულ ვადებში მიღების თაობაზე ავიასპეციალისტების მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით, ძალაში შევიდა სააგენტოს დაჩქარებული მომსახურებები.

- ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, დასრულდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის ახალი წესების (GEO AIR OPS) პირველად პროექტზე მუშაობა.

ავიასპეციალისტთა სერტიფიცირება (PEL)

ავიასპეციალისტების მოწმობების, სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობების აღიარების და სხვა თანმდევი მომსახურებების მიღების მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში მომართვიანობა და გაცემული დოკუმენტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.



2018 წელს ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემის ფაქტი საშუალოდ 60%-ით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით. 2015 წელს მოწმობა 20, 2016 წელს - 48, 2017 წელს 89, ხოლო 2018 წელს 150 ადამიანზე გაიზარდა. სააგენტოს საპროგნოზო მონაცემებით, 2019 წელს 193 მოწმობის გაცემაა მოსალოდნელი. საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობა გაიზარდა მოყვარულ პილოტზე, კომერციულ პილოტზე, ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტზე, პლანერის პილოტზე, თავისუფალი აეროსტატის პილოტზე, აერნოსანზე, ბორტინჟინერზე, ბორტრადისტზე, ბორტგამყოლზე, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეზე, ავიადისპეტჩერზე და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტზე. ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მაღალი მოთხოვნა საფრენოსნო პერსონალის (ATPL/CPL) მოწმობის გაცემაზე ფიქსირდება, შემდეგ ბორტგამყოლის მოწმობა (Cabin Crew/Flight Attendant) მოდის, ხოლო საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის მოწმობის (ATCOL) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური

მომსახურების სპეციალისტის მოწმობის (AML) გაცემაზე მოთხოვნის სტატისტიკა 2017-2018 წლებში დაახლოებით ერთნაირია.

მკვეთრად არის გაზრდილი საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობებში საკვალიფიკაციო აღნიშვნებზე მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს მოწმობით მინიჭებულ უფლებებს, განსაკუთრებული პირობებს და შეზღუდვებს. აღნიშნულ დინამიკას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს დროშის ქვეშ განსხვავებული ტიპის და მოდიფიკაციის საჰაერო ხომალდები რეგისტრირდებიან (Embraer, BELL, L-410 და ა.შ.) ასევე სპეციალისტები იუმჯობესებენ კვალიფიკაციას სხვადასხვა მიმართულებით.

2017-18 წლებში გაიზარდა სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობების აღიარების ფაქტები, რაც კვალიფიციურ საფრენოსნო-ტექნიკურ პერსონალზე მოთხოვნის არსებობას და ამავე დროს მათ დეფიციტურობაზე მიუთითებს. მიმდინარე წლის პროგნოზით, უცხო ქვეყნის მოწმობების აღიარების ფაქტები 266-დან 309 მდე გაიზრდება.

სასწავლო დაწესებულებები, ავიასამედიცინო სერტიფიცირების ზედამხედველობა (ATO, MED)

სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების და ავიასამედიცინო სერტიფიცირების ზედამხედველობის მიმართულებით, 2018 წელს:

- გაიცა სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების 3 სერტიფიკატი:
 - შპს „ტავ ურბან საქართველო“ (8.05.2018 წ. სერტიფიკატი №55/052018);
 - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“ (29.09.2018 წ. 56/092018);
 - შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“ (28.12.2018 წ. 57/122018);
- განხორციელდა სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის დანართებში 7 ცვლილება:
 - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“- 1 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“- 2 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“- 1 ცვლილება;
 - სს „საქართველოს საავიაციო სასწავლო ცენტრი“- 2 ცვლილება.
 - შპს „აემეს ტექნიკი“- 1 ცვლილება;
- განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების 3 წინასასერტიფიკაციო შემოწმება, 8 გეგმიური შუალედური და 2 არაგეგმიური შემოწმება, რომელთა შემდეგაც მოხდა შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი შენიშვნების შესახებ ინფორმირება, მათი აღმოფხვრის გეგმის შეთანხმება და შესრულების კონტროლი;
- სათანადო განაცხადისა და განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 16 სასწავლო დაწესებულების აღიარება; შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე გაიცა 32 მასწავლებლის მოწმობა;
- წინასასერტიფიკაციოდ და სდ-ის სერტიფიკატში სასწავლო პროგრამის დამატებით შეტანის მიზნით შეთანხმებულია 28 სასწავლო პროგრამის ახალი რედაქცია და განხორციელდა ცვლილებები 6 სასწავლო პროგრამაში;
- 2018 წლის განმავლობაში ავიასპეციალისტების ავიასამედიცინო სერტიფიცირების პროცესის შემოწმება განხორციელდა კვარტალში ერთხელ;

აეროდრომებისა და აეროპორტების ზედამხედველობა, მიწისზედა საშუალებების ზედამხედველობა (AGA)



ვიზიტი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ICAO-ს აუდიტის ფარგლებში

ICAO-ს 2018 წლის აუდიტის შედეგების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აეროდრომების/აეროპორტების და მიწისზედა საშუალებების ზედამხედველობის მაჩვენებელი 35,57%-დან 92.36%-მდე გაუმჯობესდა. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი ამ მიმართულებით 59.81%-ს შეადგენს.

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინიცირებით, დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების შესახებ (მთავრობის 2018წ. 16 თებერვლის N87 დადგენილება), რომელიც სრულ შესაბამისობაშია ჩიკაგოს კონვენციის მე-14 დანართთან. რეგლამენტის მიზანია აეროდრომის/ვერტოდრომის დაპროექტების, პროექტის შეთანხმების და ექსპლუატაციის პროცესში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზ. და იურ. პირისათვის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც მონაწილეობს ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებში. ამავე რეგლამენტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდა „აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის მიერ ანგარიშის წარდგენისა და შესაბამის გასატარებელ

ლონისძიებათა შეთანხმების წესი“, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა 7 აეროდრომის და 1 ვერტოდრომის შესაბამისობის დადგენის თვითშეფასების დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება;

- განხორციელდა აეროპორტებისა და აეროდრომების სრულმასშტაბიანი საინსპექციო შემოწმებები:
 - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი;
 - ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი;
 - ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
 - მესტიის აეროდრომი;
 - ამბროლაურის აეროდრომი;
 - აეროდრომი „მიმინო“ (თელავი);
 - აეროდრომი „ნატახტარი“;

- ინსპექტირებები ჩატარდა ახალი რეგლამენტის სტანდარტების გათვალისწინებით, კრიტიკული შეუსაბამოებები არ გამოვლენილა, დაფიქსირებული შენიშვნების გამოსასწორებელი ღონისძიებები და ვადები შეთანხმდა სააგენტოსთან. მიმდინარეობს მონიტორინგი;

- განხორციელდა შემდეგი უსაფრთხოების მართვის სისტემების დოკუმენტაციის შეთანხმება/ცვლილება:
 - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“;
 - შპს „ტავ ურბან საქართველო“
 - შპს „ბათუმის აეროპორტი“

- განხორციელდა საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების საინსპექციო შემოწმებები:
 - სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“;
 - შპს „ჯორჯიან ეარვეისი“;
 - შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“;

- გაიცა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მოწმობები: 4 ახალი მოწმობა, 25 ვადის გაგრძელება;

- დაბრკოლებების სიმაღლეების შეთანხმებისა და აღრიცხვის პროცესის სრულყოფის მიზნით, სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა „დაბრკოლებებისა და რელიეფის ელექტრონული მონაცემთა ბაზის“ დანერგვის პროცესში, რის

ფარგლებშიც შეხვედრები გაიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან;

- მომზადდა უმოქმედო/ძველი აეროდრომების, ვერტმფრენების საფრენი მოედნების განვითარებისათვის თემატური დოკუმენტები, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს სივრცითი მოწყობის ერთიან გეგმაში;
- ვერტოდრომების სავარაუდო განთავსების ადგილების შესწავლის მიზნით კონსულტაციები გაეწიათ კერძო ინვესტორებს (თბილისი, ბათუმი).

სააერნოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა (ANS)

- როგორც ICAO-ს 2018 წლის აუდიტის შედეგების შესახებ მოცემულ თავში აღინიშნა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სააერნოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობის (ANS) ეფექტური იმპლემენტაციის მაჩვენებელი 59.88%-დან 96.51%-მდე გაუმჯობესდა. მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი ამ კომპონენტში 63.94%-ს შეადგენს.

** სააერნოსნო მომსახურების დეპარტამენტის საქმიანობა, რომელიც უკავშირდებოდა ICAO-ს სტანდარტების დანერგვას და აუდიტისთვის მოსამზადებელ პროცესებს, მოცემულია აუდიტის შესახებ მოცემულ თავში.*

- ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ ევროკავშირთან არსებული შეთანხმების ფარგლებში, ევროპული რეგულაციების შესაბამისად (N551/2004; N2150/2005), 2018 წელს საქართველომ საჰაერო კოდექსის ცვლილებები და “საქართველოს საჰაერო სივრცით მოქნილი სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ” მთავრობის დადგენილება მიიღო. პროექტი სააგენტოს სააერნოსნო მომსახურების დეპარტამენტის მიერ იყო ინიცირებული. რეგულაციის მიხედვით, საჰაერო სივრცის სამოქალაქო-სამხედრო მუდმივმოქმედი კომიტეტი და საჰაერო სივრცის ორგანიზების ჯგუფი, ევროკონტროლის საჰაერო სივრცით მოქნილი სარგებლობის სპეციფიკაციით (EUROCONTROL Specification for the application of the Flexible Use of Airspace – FUA) იხელმძღვანელებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საჰაერო სივრცის მაქსიმალურ ათვისებას. რეგულაციის ეფექტური დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინიცირებით არაერთი აქტივობა დაიგეგმა. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, მონაწილეები ეცნობოდნენ საუკეთესო ევროპულ პრაქტიკებს FUA-ს სპეციფიკაციით გათვალისწინებული ღონისძიებების სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის ასპექტებზე.

რაც შეეხება ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარებულ ინსპექტირებებს, 2018 წლის განვავლობაში განხორციელდა შემდეგი საინსპექციო შემოწმებები:

- 2018 წლის 7-9 თებერვალს, ინსპექტირება ჩატარდა თბილისში და შპს „საქაერონავიგაცია“ შემოწმდა შემდეგი მიმართულებებით: საჰაერო მოძრაობის ორგანიზება, ფრენის პროცედურების დიზაინის მომსახურება, საავიაციო რუკების შედგენა, უსაფრთხოების მართვის სისტემა (ზოგადი), ჰაერსაანოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის ხელმისაწვდომობა, საავიაციო კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო

მომსახურება, საავიაციო მეტეოროლოგიურ მომსახურება და სამებნ-სამაშველო მომსახურება;

- 2018 წლის 23-27 ივლისს, ინსპექტირებები ჩატარდა ქუთაისის, ბათუმის, მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებში. სააგენტოს ინსპექტორების მიერ, ღიად დარჩენილი ნაკლოვანებების შესრულების სტატუსის გადამოწმებასთან ერთად, მოხდა შემდეგი მიმართულებების შემოწმება: სააეროდრომო საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება, საავიაციო კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურება, სამებნ-სამაშველო მომსახურება, უსაფრთხოების მართვის სისტემა, საავიაციო მეტეოროლოგიურ მომსახურება;
- 2018 წლის 22-26 ოქტომბერს, ინსპექტირება ჩატარდა კვლავ თბილისში, რომლის მიზანი იყო ღიად დარჩენილი ნაკლოვანებების შესრულების სტატუსის გადამოწმება, საავიაციო პერსონალის პროფესიული მომზადების და სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოს მართვის სისტემის შემოწმება.

2018 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის სპეციალისტები დამატებით ჩართულნი იყვნენ შემდეგ აქტივობებში:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის კონსულტაციების გაწევა;
- ICAO-ს რეგიონალური ოფისის თხოვნით Pans-ops/Cartography ინსპექტორთათვის ტრეინინგ პროგრამის შედგენა;
- Eurocontrol-თან რესურსების მართვის აპლიკაციის სრულყოფა.
- ICAO-ს „Deficiency Methodology“-ის განახლება.

საჰაერო ხომალდების რეგისტრაცია და ვარგისობაზე ზედამხედველობა (AIR)

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში სულ რეგისტრირებულია 72 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდი. ასევე, სერტიფიცირებულია და ზედამხედველობა ხორციელდება საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 13 საწარმოზე.



საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირება

სააგენტოს საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ, 2018 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი მომსახურებები:

- საჰაერო ხომალდის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია - 9;
- ს.ხ-ის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების სერტიფიკატის გაცემა - 3;
- სხ-ის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში/სხ-ის სარეგისტრაციო სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა - 11;
- სხ-ს საფრენად ვარგისობის სერტიფიკატის გაცემა/ვადის გაგრძელება - 45;
- სხ-ის ადგილმდებარეობაზე ხმაურის სერტიფიკატის გაცემა - 10;
- სხ-ის რადიოსადგურის სერტიფიკატის გაცემა - 10;
- სხ-ის საფრენად ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატის გაცემა - 2;
- ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის გარეშე დაშვებულ ფრენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება - 4;
- სხ-ის ტექნიკური მომსახურების პროგრამის ცვლილება - 33;

- სხ-რესურსის გაგრძელება - 2;
- საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება - 13;
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ტექნიკური მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის აღიარება - 16;
- ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს (MOE) შეთანხმება - 1;
- ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში (MOE) ცვლილებების შეტანა - 15;
- ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოს შეთანხმება - 4;
- ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა - 24;

SAFA

„წვერი სახელმწიფოებისა და საქართველოს აეროპორტებში დაშვებული საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის შესახებ“ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხდება უცხო ქვეყნის რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმება (EU Ramp Inspection Programme SAFA). აღნიშნული შემოწმება ტარდება EASA-ს წესებისა და პროცედურების მიხედვით. სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორები ჩართულნი არიან SAFA-ს პროგრამის მონაცემთა ბაზაში და ხდება როგორც საქართველოში შემოწმებული სხ-ს ანგარიშების მიწოდება ასევე ევროპის აეროპორტებში შემოწმებული სხ-ს შედეგების განხილვა.

- 2018 წლის განმავლობაში, ჩატარებული იქნა უცხო ქვეყნის 46 საჰაერო ხომალდის შემოწმება ბაქანზე;
- ამასთან ხდება ამ პროგრამით შემოწმებული საქართველოში რეგისტრირებული სხ-ს შედეგების განხილვა და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მათ გამოსწორებაზე ზედამხედველობა;
- სააგენტომ 2017 წლის სექტემბერში გაიარა EASA-ს მიერ ჩატარებული SAFA პროგრამის სტანდარტიზაციის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლენილი შენიშვნები გამოსწორებულია. აუდიტი დახურული იქნა 2018 წლის განმავლობაში;

საავიაციო უშიშროებაზე ზედამხედველობა (AVSEC)

- 2018 წლის განმავლობაში, სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტმა შეიმუშავა „საავიაციო უშიშროების რისკის შეფასების სახელმძღვანელო“ (სააგენტოს დირექტორის 28.03.2018 წლის № 56 ბრძანება). სახელმძღვანელოს მიზანია რისკის შეფასების საფუძველზე სამოქალაქო ავიაციაში საფრთხის დონის განსაზღვრა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციული ზომების გატარება;
- ცვლილებები შევიდა „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესში“ (სააგენტოს დირექტორის 06.03.2017 წლის №26 ბრძანება);
- „მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში“ (მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №241 დადგენილება) ჩიკაგოს კონვენციის მე-17 დანართით გათვალისწინებული ცვლილებების დანერგვის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა აეროპორტების ოპერატორებთან, საავიაციო და სამართალდამცავ უწყებებთან. კონსულტაციების ფარგლებში, განისაზღვრა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების არაკონტროლირებადი ზონები და განისაზღვრა ამ ზონებში გასატარებელი დაცვის ღონისძიებები;
- საავიაციო უშიშროების ზომების ეფექტიანობის განსაზღვრისა და ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში მისი სწრაფად და ეფექტურად აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდა ხარისხის კონტროლის ღონისძიებები აეროპორტებსა და სხვა ავიასაწარმოებში:
 - საქართველოს აეროპორტებში სულ განხორციელდა 33 ხარისხის კონტროლის ღონისძიება. მათ შორის: ინსპექტირება, სრულმასშტაბიანი შემოწმება და საავიაციო უშიშროების სისტემის გამოცდა - 14;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების (ავიაგადამზიდველები) ინსპექტირება და სრულმასშტაბიანი შემოწმება - 20;
 - სასწავლო დაწესებულებების ინსპექტირება - 6;
 - ბორტკვების საწარმოების ინსპექტირება - 3;
 - ავიასაწვავსამართი საწარმოების ინსპექტირება - 8;
 - სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს ინსპექტირება - 1;
 - სატვირთო ტერმინალების ინსპექტირება - 3;

- მუდმივი მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში, აღნიშნულ ობიექტებზე სააგენტოს სპეციალისტები ასევე ახორციელებდნენ პერიოდულ ვიზიტებს არასამუშაო საათებსა და დღეებში;
- უშიშროების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 2 ავიაკომპანიის სერტიფიცირების პროცესში (Myway Airlines; Ak-Air Georgia), ასევე 11 ავიაკომპანიისთვის სერტიფიკატის ვადების გაგრძელებაში;
- სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტმა განიხილა და შეითანხმა საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის 8 პროგრამა და 5 რევიზია;
- საავიაციო ბაზარზე დაშვების ფარგლებში სააგენტომ განიხილა და შეითანხმა 8 უცხოური ავიაგადამზიდველის საავიაციო უშიშროების პროგრამა;
- შეთანხმების მიზნით, განხილულ იქნა 3 სასწავლო დაწესებულების საავიაციო უშიშროებასთან დაკავშირებული პროგრამები;
- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები:
 - საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრებზე - 154 საშვი;
 - სააგენტოს თანამშრომლებზე - 42 საშვი;
- გაიცა 242 სერტიფიკატი მომზადება გავლილ შემოწმების ოპერატორებზე, ვადა გაუგრძელდა 228 სერტიფიკატს. სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი თავჯდომარეობდა ასევე აღნიშნული პერსონალის საგამოცდო კომისიას (2018 წელს - 10 საგამოცდო კომისია);
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სპეციალური რეისების მომზადებაში / საიდუმლო საქმისწარმოებაში, კერძოდ შემოვიდა 357 წერილი, მომზადდა და მსვლელობა მიეცა 268 წერილს;
- ავიასაწარმოებს გაეწიათ კონსულტაციები საავიაციო უშიშროების უზრუნველსაყოფი ტექნიკური მოწყობილობების შესყიდვის და აეროპორტებში შენობების, ნაგებობების და სხვა ობიექტების პროექტირების/რეკონსტრუქციის პროცესში;

უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციაზე ზედამხედველობა (UAS, GA, SPO)

2018 წლის 1 აპრილიდან, სააგენტოში ფუნქციონირება დაიწყო უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტმა, რომლის კადრებით დაკომპლექტება 2018 წლის ოქტომბერში დასრულდა. დეპარტამენტის ფუნქციებში შედის: უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაცია; უპილოტო საჰაერო ხომალდების და უპილოტო საჰაერო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციისთვის თანხმობის სერტიფიკატის გაცემა, სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა, მოქმედების ვადის გაგრძელება, მოქმედების შეჩერება, აღდგენა და გაუქმება; დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის პერსონალის სერტიფიცირება და შესაბამისი კატეგორიის პილოტის მოწმობის გაცემა, მოქმედების ვადის გაგრძელება; უპილოტო საჰაერო სისტემის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემა, მოქმედების ვადის გაგრძელება, შეჩერება, გაუქმება; საერთო დანიშნულების ავიაციის, მათ შორის საავიაციო სამუშაოების, სპეციალიზებული ექსპლუატაციის სხეების (მათ შორის ძრავის გარეშე), კომპლექსური ძრავის მქონე საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და სხვა.

2018 წლის განმავლობაში:

- გამოიცა 8 ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი - ბრძანება უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის თანხმობასთან დაკავშირებით, 1 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - ბრძანება უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციასთან დაკავშირებით;
- გაიმართა 5 შეხვედრა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან;
- გაიმართა უპილოტო საჰაერო ხომალდების უცხოელ ექსპლუატანტებთან კონსულტაციები ელექტრონულ ფორმატში;
- გაიმართა შეხვედრები სადაზღვევო კომპანიებთან უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით;

- შეიქმნა უპილოტო საჰაერო ხომალდების სამუშაო ჯგუფი, სადაც მონაწილეობას იღებს, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები და ასევე ძალოვანი უწყების წარმომადგენლები;
- აიპ „მსუბუქი ავიაციის სპორტული ფედერაცია“-ის ინიციატივით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ორგანიზებით შეიქმნა ექსპერტთა კომისია “Aeros Ltd”-ს ხელმძღვანელობით, რომელმაც განახორციელა აიპ „მსუბუქი ავიაციის სპორტული ფედერაცია“-ის მოთხოვნით განსაზღვრული ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების ტექნიკური და საფრენოსნო შემოწმება, რის საფუძველზეც 6 (ექვს) ზემსუბუქ საჰაერო ხომალდს მიეცა ფრენების განხორციელების უფლება 2018 წლის სექტემბრის თვის ბოლომდე;
- გაიმართა შეხვედრები ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტებთან (მესაკუთრეებთან), სადაც განხილულ იქნა მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები;
- განხორციელდა ზემსუბუქ საჰაერო ხომალდებთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და ანალიზი, მათ შორის შედგა სამუშაო შეხვედრები თურქეთის, უკრაინის და ჩეხეთის სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლებებთან;
- დეპარტამენტის მიერ მომზადდა ეროვნული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს, შემდეგი საკითხების სამართლებრივ მოწესრიგებას: ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირება; ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობა; ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის ლიცენზირება; ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაცია;
- შეიქმნა ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები;
- შემუშავდა ზემსუბუქი საფრენი აპარატების (პარაგლაიდინგი) საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკაზე დაფუძნებული რეგულირების პროექტი (სამუშო ვერსია);
- განხორციელდა შეხვედრა პარაგლაიდინგის წარმომადგენლებთან, სადაც ჩატარდა პრეზენტაცია შემუშავებული რეგულირების პროექტთან დაკავშირებით და განხილულ იქნა საკითხის ირგვლივ მხარეთა მოსაზრებები;



შეხვედრა ჩეხეთის საავიაციო ხელისუფლებასთან

- განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი თბილისის შემოგარენში და გუდაურში არსებულ სასტარტო ლოკაციებზე, სადაც ადგილზე იქნა შესწავლილი არსებული სიტუაცია და საკითხის იგვლივ არსებული პრობლემები;
- გაიმართა კონსულტაციები და შეხვედრები სადაზღვევო კომპანიებთან პარაგლაიდინგთან არსებული რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით;
- სპეციალიზირებული ექსპლუატაციის (SPO) კუთხით, განხორციელდა შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და ანალიზი.

ხარისხის მართვა (QM)

სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ, 2018 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა:

- ხარისხის მართვის სისტემის რეფორმა ევროპული მოთხოვნების შესაბამისად;
- სააგენტოში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების ასახვა შესაბამის სახელმძღვანელო დოკუმენტებში, კერძოდ შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით დამტიცდა შემდეგი სახელმძღვანელოები/კითხვარები:
 - დანიშნული საფრენოსნო გამომცდელის სახელმძღვანელო;
 - უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმების კითხვარი;
 - საწაფის პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმების კითხვარი;
 - გამომცდელის კვალიფიკაციის აღიარება;
 - უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმების ანგარიში;
 - SAFA-ს ინსპექტორის კვალიფიკაციის სახელმძღვანელო;
 - საავიაციო უშიშროების რისკის შეფასების სახელმძღვანელო;
- სააგენტოს წლიური სამოქმედო გეგმის კონსოლიდაცია და მისი შესრულების მონიტორინგი;
- მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებელი ღონისძიებები (შიდა აუდიტები);
- ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელოების შემუშავება;
- შიდა სწვლებები:
 - ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის გაცნობა
 - ინსპექტირების ახალი წესის (166-ე ბრძანება) გაცნობა
 - სააგენტოს ახალი თანამშრომლებისთვის ხარისხის სისტემის შიდა გაცნობითი სასწავლო კურსი

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა (REG)

სამართალშემოქმედებითი პროცესის უფრო ინტენსიურად და კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, 2018 წლის 1 აპრილიდან, სააგენტოს შემადგენლობაში ფუნქციონირება დაიწყო სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტმა. აღნიშნული ფუნქციები გამოეყო ადმინისტრაციულ დეპარტამენტს და სააგენტოს წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად ახლებურად განისაზღვრა ახალი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომელშიც შედის: „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით“ (CAAA) ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და ამ ვალდებულებების ფარგლებში დასაწერი ევროპული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა და სააგენტოს სამოქმედო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების პროექტების შემუშავება – განხილვაში მონაწილეობა; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ავიაციის სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;

2018 წლის განმავლობაში, აღნიშნული დეპარტამენტის და მანამდე ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტებმა, შესაბამის ტექნიკურ დეპარტამენტებთან ერთად, იმუშავეს ახალ ნორმატიულ აქტებზე (7):

- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 იანვრის N3 ბრძანება "საავიაციო რუკების შემუშავების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N24 ბრძანება "ჰაერსაფრენო ინფორმაციით მომსახურების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 23 თებერვლის N47 ბრძანება "სააერონავიგაციო მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფის წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 23 თებერვლის N43 ბრძანება "აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის მიერ დეტალური ანგარიშის წარდგენისა და შესაბამის გასატარებელ ღონისძიებათა შეთანხმების წესის" დამტკიცების შესახებ;

- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 მარტის N52 ბრძანება "საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 აგვისტოს N166 ბრძანება "სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის N191 ბრძანება "ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფის) სერტიფიცირების წესის" დამტკიცების შესახებ.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის, ასევე ევროპული რეგულაციების ეტაპობრივი დანერგვის მიზნით, ცვლილებები შევიდა შვიდ (7) ნორმატიულ აქტში.

სააგენტომ იმუშავა მთავრობის დადგენილებების შემდეგ პროექტებზე:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის N87 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N97 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N595 დადგენილება "საავიაციო რადიოკავშირისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების წესის" დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N514 დადგენილება "საქართველოს საჰაერო სივრცით მოქნილი სარგებლობის წესის" დამტკიცების შესახებ.

საერთაშორისო ურთიერთობები და ჩართულობა

- 2018 წლის 19 თებერვალს, საქართველოს ელჩი კანადაში და მუდმივი წარმომადგენელი ICAO-ში კონსტანტინე ქავთარაძე და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე (იმჟამად დირექტორის მოადგილის რანგში) სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ფანგ ლიუს და საბჭოს პრეზიდენტს ოლიმპიკა ბერნარდ ალიუს შეხვდნენ. მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოს საავიაციო ხელისუფლების საქმიანობის შედეგები და ქვეყნის მიერ საავიაციო უსაფრთხოების და უშიშროების ზედამხედველობის კუთხით მიღწეულ პროგრესი.



შეხვედრა მონრეალში

ICAO-ს მხრიდან, დადებითად შეფასდა მთავრობის გადაწყვეტილება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების იშვიათი და დეფიციტური პროფესიათა/ფუნქციათა ნუსხაში შეყვანის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოში კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების პროცესს. ICAO-ს პირველი პირები მიესალმნენ სააგენტოს სპეციალისტების აქტიურ ჩართულობას ICAO-ოს, EASA-ს და EUROCONTROL-ის სამუშაო ჯგუფებში, მათ შორის, აღინიშნა მონაწილეობა ისეთ პროექტებში/ჯგუფებში როგორიცაა „Black Sea Task Force“ და „GASP SG“.

შეხვედრებზე, ასევე ხაზი გაესვა ICAO-ოს პრეზიდენტის ინიციატივის „No Country Left Behind“ ფარგლებში, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხს და პოზიტიური შეფასება მიეცა როგორც სააგენტოს თანამშრომლობას ევროპის წამყვან საავიაციო ხელისუფლებებთან (საფრანგეთი, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხორვატია და ა.შ.) ისე მის საქმიანობას რეგიონის ქვეყნებისთვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით (ყაზახეთი, ლატვია, უზბეკეთი და ა.შ.);

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და „საქაერონავიგაციის“ მასპინძლობით, 2018 წლის 27-28 მარტს, თბილისში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საავიაციო უსაფრთხოების გლობალური გეგმის სამუშაო ჯგუფის (GASP-SG) შეხვედრა გაიმართა.



GASP-SG-ის სამუშაო შეხვედრა თბილისში

შეხვედრაზე ICAO-ს, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, საუდის არაბეთის, მოლდოვის და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებმა, აგრეთვე, საავიაციო ინდუსტრიის ექსპერტებმა იმსჯელეს საავიაციო უსაფრთხოების გლობალური გეგმით ქვეყნებისა და

რეგიონებისთვის დადგენილ უსაფრთხოების სტანდარტებზე, საავიაციო უსაფრთხოების დონის განსაზღვრის ძირითად ინდიკატორებზე, დარგის მიმდინარე და გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტებზე. ICAO-ს სამდივნოს ეგიდით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიზანს, საავიაციო უსაფრთხოების გლობალური გეგმის (GASP, Doc 10004) ახალი, 2020-2022 წლების გამოცემის შემუშავება წარმოადგენს. 2017 წლიდან, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საავიაციო ხელისუფლებების ექსპერტებთან ერთად, აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე (2017-18 წლებში დირექტორის მოადგილის რანგში). ICAO-ს საავიაციო უსაფრთხოების გლობალური გეგმის სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა და ღონისძიების მასპინძლობა წარმოადგენს ფრენების უსაფრთხოების კუთხით საქართველოს მიერ დასახული კურსის კიდევ ერთ აღიარებას საერთაშორისო დონეზე.

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოწვევით, 2018 წლის 29 მარტს, შავი და კასპიის ზღვების როტაციული ჯგუფის პირველ საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს, თურქეთის, მოლდოვის, უკრაინისა და აზერბაიჯანის საავიაციო ხელისუფლებების პირველი პირები იღებდნენ. მხარეებმა იმსჯელეს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ტექნიკურ ორგანოებში რეგიონის წარმომადგენლობის მიზნით ურთიერთდახმარებისა და კოორდინაციის საკითხებზე.



„Black Sea Caspian Group“-ის შეხვედრა თბილისში

“Black Sea Caspian Group“ (BSCG) წარმოადგენს თურქეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებების ერთობლივი ინიციატივის საფუძველზე შექმნილ ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის და კოორდინაციის გაღრმავებას, როტაციული პრინციპის საფუძველზე ICAO-ს სტრუქტურულ ერთეულებში წარმომადგენლობის მიზნით. ჯგუფმა მუშაობა 2013 წელს დაიწყო. 2014 წელს, მემომანდუმს ხელი მოაწერა სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ. 2016 წელს, ICAO-ს 39-ე ასამბლეის ფარგლებში გამართულ საბჭოს არჩევნებში, „Black Sea Caspian Group“-ის კანდიდატი თურქეთის რესპუბლიკა არჩეულ იქნა ICAO-ს საბჭოს წევრად.

- 2018 წლის აპრილს, ბრიუსელში, ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე მომუშავე საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტის რიგით მეოთხე სხდომა გაიმართა.



ერთობლივი კომიტეტის სხდომა ბრიუსელში

შეხვედრის მიზანს, შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვის პროცესში მიღწეული პროგრესის გაცნობა, ასევე მომავალში დასანერგი ნორმატიული აქტების შესახებ ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენდა. მხარეებმა ასევე განიხილეს შეთანხმების რატიფიცირების (შეთანხმება რატიფიცირებულია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, დარჩენილია ევროსაბჭოს მიერ

რატიფიცირების პროცესი), გარდამავალი პერიოდის ამოქმედების ვადებთან და განრიგთან, ასევე შეთანხმების დანართების განახლებასთან დაკავშირებული საკითხები.

- 2018 წლის 4 ივლისს, თბილისში, „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელშეწყობის შესახებ“ EUROCONTROL-ის პროექტის მმართველი ჯგუფის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას სააგენტოს, „საქაერონავიგაციის“ და ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და მის მიზანს ორ უწყებას შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტის მიმდინარეობის შეჯამება, ანალიზი და სამომავლო გეგმების განსაზღვრა წარმოადგენდა.



პროექტის მმართველი ჯგუფის შეხვედრა სააგენტოში

მხარეებმა განიხილეს პროექტის თითოეული კომპონენტის (Work Package) ფარგლებში განხორციელებული სამუშაო, დასახულ იქნა სამომავლო მიზნები და განისაზღვრა მათი შესრულების ვადები. უწყებებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის შემდგომი გახანგრძლივების შესახებ. შეთანხმების განახლება 2019 წლის განმავლობაში იგეგმება და მის თანახმად, EUROCONTROL-ი ქართულ მხარეს დახმარებას გაუწევს: სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოს ევროპული სტანდარტებით სერტიფიცირებაში; საჰაერო სივრცის ორგანიზებასთან

დაკავშირებულ ევროპული რეგულაციების დანერგვაში; საავიაციო მიზნებისათვის განკუთვნილი გეოდეზიური სამუშაოების შესრულების ახალი სტანდარტების შემუშავებაში და სხვ.

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ინგა ჟღენტი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონალურ ოფისში კონსულტანტად მიიწვიეს. ICAO-ს პარიზის ბიუროში სააგენტოს სპეციალისტი რამდენიმე თვის განმავლობაში იმუშავებს. ინგა ჟღენტს საავიაციო უშიშროებისა და ფორმалობების გამარტივების რეგიონალურ ოფიცერთან ამავე საკითხებზე კოორდინირებული მუშაობა, ევროპის რეგიონის საავიაციო უშიშროების სასწავლო ცენტრების საქმიანობის კოორდინირება და შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება ევალება.
- სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ზედამხედველობის კუთხით, საქართველო განაგრძობს აქტიურ საქმიანობას ICAO-ს შესაბამის სამუშაო ჯგუფებში. ICAO-ს ეგიდით, ევროპის რეგიონის მეტეოროლოგიური ჯგუფის EANPG METG შეხვედრა 2018 წლის სექტემბერში გაიმართა. საქართველოს სახელით ღონისძიებაში მონაწილეობას სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მეტეოროლოგიური მომსახურების უსაფრთხოების ინსპექტორი ნინო გელოვანი იღებდა, რომელიც ამავე დროს არის ICAO-ს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის და შუა აზიის ქვეყნების საპროექტო ჯგუფის (PT/EAST) ხელმძღვანელი. სააგენტოს წარმომადგენელი ამ ჯგუფს 2011 წლიდან უძღვება. შეხვედრაზე, სააგენტოს წარმომადგენელმა რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნებს შორის ფრენის მარშრუტზე ფაქტობრივი და მოსალოდნელი ამინდის მოვლენების წარმოშობისა და ატმოსფეროს სხვა მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის სამუშაო დოკუმენტი (SIGMET Coordination project for PT/EAST States) წარმოადგინა. ამ კუთხით, ნინო გელოვანმა SIGMET-ების გაცვლასა და მონიტორინგთან დაკავშირებით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაწყებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა.
- ICAO-ს ევროპის რეგიონის საავიაციო უსაფრთხოების ექსპერტთა ჯგუფში (IE-REST) 2018 წელს სააგენტოს წარმომადგენლები მიიწვიეს. ICAO-ს მომართვის საფუძველზე, სააგენტოს ფრენის პროცედურების დიზაინის და კარტოგრაფიის ინსპექტორს, ხათუნა აბაშიძეს ამ მიმართულების ინსპექტორებისთვის სასწავლო პროგრამის შემუშავება ეთხოვა. სააგენტოს სპეციალისტების მიერ შედგენილი ტრეინინგ პროგრამის წარდგენა ევროპის რეგიონის სახელმწიფოებისთვის IE-REST სამუშაო შეხვედრაზე, 2018 წლის სექტემბერში

შედეგა. პროგრამაში გაწერილია სწავლების ყველა ეტაპი. სააგენტოს შესაბამისი ინსპექტორის მიერ შემუშავდა აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელო მასალები. ექსპერტული განხილვის და დამოწმების შემდგომ, მასალები აისახება ICAO-ს დოკუმენტებში და წევრ სახელმწიფოებს, საშუალება ექნებათ იხელმძღვანელონ აღნიშნული პროგრამით. აღნასიშნავია, რომ ფრენის პროცედურების დიზაინის და კარტოგრაფიის მიმართულების სპეციალისტები დეფიციტურია რეგიონში და მათი მომზადება-გადამზადება დიდ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ინსპექტორისათვის აუცილებელი ცოდნის მიღებაში სააგენტოს საფრანგეთთან გაფორმებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა დაეხმარა. ICAO-ს „No Country Left Behind“ ინიციატივის ფარგლებში, PANS-OPS სპეციალისტების მომზადებაში ავსტრიის საავიაციო ხელისუფლებაც მონაწილეობდა. საქართველომ კი, ამავე ინიციატივის ფარგლებში, კონსულტაციები აზერბაიჯანის საავიაციო ხელისუფლებას გაუწია.

- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ (GCAA) და საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის დირექტორატმა (DGAC) ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის განახლებას მოაწერეს ხელი. საქართველოში საფრანგეთის ელჩის, ბატონი პასკალ მენიეს მოწვევით, მხარეებს შორის შეხვედრა 2018 წლის 5 სექტემბერს, მწერალთა სახლში გაიმართა.



საავიაციო ხელისუფლებების და საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრა მწერალთა სახლში

ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც 4 წლის ვადით გაფორმდა, ითვალისწინებს ორი ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას გამოცდილების გაზიარების, ტექნიკური

დახმარებისა და ევროპული საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში კონსულტაციების გაწევის კუთხით. 2014 წლიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერით, სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებმა გაიარეს ფრენის პროცედურების დიზაინის, ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მართვის, საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის ზედამხედველობის, სააერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის და სხვა მიზნობრივი სასწავლო კურსები საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის ეროვნულ სასწავლებელში (ENAC, ტულუზა).

- 2018 წლის 12-14 დეკემბერს, ჩინეთის ქალაქ შენჯენში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ახალი თაობის ავიაციის პროფესიონალთა (NGAP) პროგრამის რიგით მეორე გლობალური სამიტი გაიმართა, სადაც ICAO-ს მოწვევით, ერთ-ერთი პანელის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ლევან კარანაძემ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილის რანგში.



პანელის და ღონისძიების უმთავრეს მიზანს, NGAP პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებს, სასწავლო დაწესებულებებს, საავიაციო ხელისუფლებებსა და ავიასაწარმოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და ავიასპეციალისტების დეფიციტთან დაკავშირებული სამომავლო გლობალური სტრატეგიის განსაზღვრა წარმოადგენდა. სამიტზე ხელი მოეწერა არაერთ

თანამშრომლობის მემორანდუმს და სამუშაო შეთანხმებას საგანმანათლებლო და დასაქმების სექტორებს შორის.

სააგენტოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ADM)

- 2018 წლის განმავლობაში, სააგენტომ იმუშავა „შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის N68 დადგენილების პროექტზე, რომელიც განსაზღვრავს იმ პროფესიათა/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხას და შრომის ანაზღაურების წესს, რომლებიც შრომის ბაზარზე იშვიათი და დეფიციტურია ან/და რომელთა შრომის ანაზღაურება აღემატება, კანონით განსაზღვრული კოეფიციენტების მიხედვით, საჯარო სამსახურში არსებულ შრომის ანაზღაურებას. დადგენილება ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან;
- ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა იმუშავა სააგენტოს დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციების მქონე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებზე;
- სააგენტომ იმუშავა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების ცვლილების პროექტზე. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/583 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №1-1/97 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტის და უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის ფუნქციები. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს დაემატა ზოგადი ფუნქცია - სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და მისი ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგი. ახლებურად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული, ხარისხის მართვის, საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის და ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და

ინსპექტირების დეპარტამენტების ფუნქციები. ახალმა დეპარტამენტებმა ფუნქციონირება 2018 წლის 1 აპრილიდან დაიწყეს;

- დებულების ცვლილების შესაბამისად, მომზადდა და დამტკიცდა ორი ახალი დეპარტამენტის თანამდებობრივი ინსტრუქცია, განახლდა ადმინისტრაციული და ხარისხის მართვის დეპარტამენტის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ახალ დეპარტამენტებში თანამშრომელთა აყვანის და სხვა ვაკანტური პოზიციების შევსების მიზნით, 2018 წლის განმავლობაში სააგენტომ ჩაატარა 25 კონკურსი. ახალი თანამშრომლებისთვის განისაზღვრა სწავლების გეგმები და მიმდინარეობს მათი გადასწავლება როგორც სააგენტოს დაფინანსებით, ისე პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით;
- სააგენტოს 2018 წლის თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების გეგმის თანახმად, განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული სწავლებების უმრავლესობა, გადამზადდა სააგენტოს თანამშრომელთა უმრავლესობა. შეჯამებული მონაცემებით, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (JAA Training Organisation, Singapore Aviation Academy, ICAO, ECAC, IANS, EASA, IATA, Ukraine National Aviation University, ENAC, Korea Airports Corporation), თუ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ჩატარებული სხვადასხვა მიმართულების სწავლებებისა თუ სემინარების რაოდენობა 2018 წლის განმავლობაში შეადგენს 40-მდე სწავლებას (მათ შორის შიდა სწავლებები). EaP/CA პროექტის ფარგლებში ჩატარდა 6 ტრენინგი;

მომხმარებლებთან, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობა

- სააგენტო, თავის უშუალო მომხმარებლებთან - ავიასაწარმოებთან საჯარო და დაუბრკოლებელი კომუნიკაციის თვალსაზრისით რამდენიმე ელექტრონულ ფორმატს იყენებს. ესენია: ნორმატიული აქტების გარე განხილვის ეტაპი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ახალი რეგულაციის შემუშავებამდე, ინდუსტრიას შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს სააგენტოს მიერ შემუშავებულ პროექტებს და განსაზღვრულ ვადაში მოგვაწოდოს შენიშვნები და წინადადებები. ასევე

სააგენტო ავიასაწარმოებს სთავაზობს ჰაერსაწარმო ინფორმაციის ცვლილების წარდგენის ფორმასა (გადმოსატვირთი ვერსია) და საავიაციო მოვლენათა სავალდებულო შეტყობინების ფორმებს (გადმოსატვირთი ვერსიები). საზოგადოების ფართო წრისთვის ხელმისაწვდომია საავიაციო მოვლენათა ნებაყოფლობითი შეტყობინების ფორმა, რომლის შევსება და სააგენტოსთვის გამოგზავნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია რაიმე ინფორმაცია მომხდარ საავიაციო შემთხვევაზე თუ ინციდენტზე. 2018 წელს, აღნიშნულს დაემატა NOTAM-ების გამოცემის ფორმა და აქტიური NOTAM-ების ბლოკი, რომლის მიზანია საჰაერო სივრცის იმ მომხმარებლების ინფორმირება, რომლებმაც არ აქვთ წვდომა საავიაციო ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით გავრცელებულ შეტყობინებებზე (NOTAM);

- მომსახურების და კონსულტაციების გაწევის პროცესის სრულყოფის მიზნით, დამტკიცდა ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემის და სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების საკითხებზე მოქალაქეებისა და ავიასაწარმოების მიღების საათები (ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს 16.00 სთ-დან – 18.00 სთ-მდე);
- საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის კუთხით, 2018 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა: სააგენტოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალებისა და რელიზების მომზადება (69); საინფორმაციო ბანერების მომზადება სააგენტოს სოციალური ქსელისთვის (14); სამოქალაქო ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და ცნობიერების ასამაღლებელი ინფორმაციის (posts) მომზადება სააგენტოს სოციალური ქსელისთვის (9); დახმარების გაწევა ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის ან სააგენტოს ხელმძღვანელი პირების კომენტარის მოსაპოვებლად (სატელევიზიო ინტერვიუ/კომენტარი, სიუჟეტი); შეკითხვებზე პასუხების მომზადება (ინტერვიუები ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემებისთვის) (11); გაშუქების მიზნით ღონისძიების ანონსის დაგზავნა (4); სააგენტოს საქმიანობით დაინტერესებული ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირება (კომენტარები არ გაკეთდა გარკვეული დაინტერესებული პირების უასფუძვლო ბრალდებებზე, Fake გვერდების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე); სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა (www.gcaa.ge) და სოციალური გვერდის (სამოქალაქო ავიაციის სააგენტო GCAA) ინფორმაციული უზრუნველყოფა და განახლება, მომხმარებლებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ, რეგულარულად ხორციელდება ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე. 2012 წლიდან, სააგენტო მუდმივად ხვდება თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალში;
- 2018 წლის 6 თვის განმავლობაში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში შემოსულია 20 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე;

სოციალური პასუხისმგებლობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლის აგვისტოდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2018 წლის განმავლობაში ფონდისთვის 5 647 ლარის მობილიზება მოხერხდა.

2018 წლის დეკემბერში, ახალი წლის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, სააგენტოს თანამშრომელთა შემოწირულობებით დახმარება გაეწია აეროპორტის დასახლებაში მცხოვრებ, უკიდურესად შეჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახს. ბავშვების სურვილების შესაბამისად, ოჯახს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლების სახელით გადაეცა პლანშეტი, ველოსიპედი, სათამაშოები და ყველა სახის სურსათ-სანოვაგე. ამასთან, მზრუნველობა მოკლებულ ხანდაზმულების სადილის დაფინანსების მიზნით თანხა გადაერიცხა ასოციაცია "კათარზის".